დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 24 მაისი**

დისციპლინური საქმე №83/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 27 აპრილის №83 საჩივარის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 8 მაისის №297/83-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლემ დაარღვია კანონი, ვინაიდან მისი ჩართულობის გარეშე შეისწავლა ვიდეო მტკიცებულებები, სადაც ასახული იყო მის საპატიმრო საკანში არსებული მდგომარეობა;

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2023 წლის 3 აპრილს მისი მოთხოვნის საფუძველზე მოსამართლემ გამოუგზავნა 2023 წლის 9 თებერვლის სხდომის ვიდეოჩანაწერი, ნაცვლად 2023 წლის 9 მარტის სხდომის ვიდეოჩანაწერისა, სადაც ასახული იყო სხვა პირების სასამართლო პროცესი, რითაც მისი მოსაზრებით, მოსამართლემ გასცა სხვა ადამიანების პერსონალური მონაცემები.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 6 ივნისს, მსჯავრდებულმა -- -- წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს -- დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 11 ივნისის №-- ბრძანებით, მსჯავრდებული -- --, №-- პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილ იქნა №-- პენიტენციურ დაწესებულებაში.

2022 წლის 8 აპრილს, -- -- წერილობითი განცხადებით (საჩივარი) მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ №-- -ე საკანში, სადაც განთავსებულია და მუშაობს პატიმარი, არის ერთადერთი ფანჯარა, რომელშიც ჩასმული მინის ზუსტი ზომა ვერტიკალურ მდგომარეობაში ერთმანეთის

გვერდით განლაგებული ორნახევარი თაბახის ფურცლის ზომაა, რაც არ არის საკმარისი საკნის ბუნებრივი განათებით და ჰაერით უზრუნველსაყოფად. იმის გამო, რომ საკანში სინათლე არ შედის, მთელი დღე მსჯავრდებული იძულებულია დამოკიდებული იყოს ხელოვნურ განათებაზე, რაც მოქმედებს როგორც მის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის გაუარესებაზე, ასევე ზრდის მხედველობის გაუარესების საფრთხესაც.

აღნიშნული წერილის პასუხად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსის 2022 წლის 18 აპრილის წერილით, -- -- ეცნობა, რომ მისი საკანი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და შეესაბამება სტანდარტებს.

2022 წლის 19 მაისს, მსჯავრდებულ -- -- მოთხოვნის საფუძველზე, სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა საცხოვრებელი №-- საკანი. -- -- ეცნობა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ამოწურა მითითებულ საკითხთან მიმართებით სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები და წარმოება დასრულებულია.

2022 წლის 4 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურს დაევალოს მისი განთავსება ისეთ ინფრასტრუქტურის შესაბამის დაწესებულებაში, სადაც დაცული იქნებოდა პატიმრის უფლებები. ასევე მან სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი, პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამო მოითხოვა მორალური ზიანის -- ლარის ოდენობით ანაზღაურება.

2022 წლის 5 ივლისს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2022 წლის 20 დეკემბრის მოსამზადებელი სხდომაზე -- -- დააყენა შუამდგომლობა საკნის ვიდეოკამერის ჩანაწერების გამოთხოვის თაობაზე, რაც მოსამართლის მიერ დაკმაყოფილდა.2023 წლის 9 და 23 თებერვალს გაიმართა სასამართლოს მთავარი სხდომა, სადაც შესწავლილ იქნა გამოთხოვილი მასალა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 1 მარტს -- -- მიერ გამოთხოვნილი იქნა 2023 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერები (მტკიცებულებათა გამოკვლევის დასადგენად), რომლის ნაცვლად მას გაეგზავნა 2023 წლის 9 მარტის სხდომის ვიდეოჩანაწერი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია კანონი ვინაიდან მისი ჩართულობის გარეშე შეისწავლა ვიდეო მტკიცებულებები, სადაც ასახული იყო მის საპატიმრო საკანში არსებული მდგომარეობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ხოლო 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინებების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 2023 წლის 3 აპრილს მისი მოთხოვნის საფუძველზე მოსამართლემ გაუგზავნა 2023 წლის 9 თებერვლის სხდომის ვიდეოჩანაწერი, ნაცვლად 2023 წლის 9 მარტის სხდომის ვიდეოჩანაწერისა, საქმის მასალების შესაწვლის შედეგად დადასტურდა. თუმცა აღნიშნული გარემოება ვერ გახდება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის მსჯელობის საგანი, ვინაიდან მსგავსი ქმედება არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომის სახეს. შესაბამისად, სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი ნაწილისთანახმად სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს -- -- 2023 წლის 27 აპრილის №83 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი